# ქალაქ თბილისის

# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 167

“ 26 ” აპრილი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 3 აპრილის №24.558.632 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი №17-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

| ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17 (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | ივანე არსანიძე | 11001026186 | სართული 4, ბინა N31 | 100.76 | 01.12.15.001.006.01.031 |
| 2 | ავთანდილ გოცაძე | 54001005764 | სართული 5, ბინა N32 | 100.76 | 01.12.15.001.006.01.032 |
| 3 | ლელა ცუცქირიძე | 54001045448 | სართული 7, ბინა N34 | 100.76 | 01.12.15.001.006.01.034 |